საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030169604124719

**№ 01-217/ო** **01 / ივლისი / 2019 წ.**

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის (2020-2023 წლების) დამტკიცების შესახებ

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „2020-2023 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის N125 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2020-2023 წლების), თანდართული N3.1 და N3.2 დანართების შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი — ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად — ეკატერინე ტიკარაძე